1. 1985 წლის 4-დან 8 იანვრამდე ქ. თბილისში, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე, ჩატარდეს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ტრადიციული რესპუბლიკური კვირეული და მიეძღვნას იგი ფაშიზმზე გამარჯვების მე-40 წლისთავს.

2. კვირეულში მონაწილეთა რაოდენობრივი განაწილება დამტკიცდეს.

3. მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის საზეიმო გახსნა მოეწყოს ქ. თბილისში. საზეიმო გახსნაზე მოწვეულ იქნან მოსწავლეთა დელეგაციები რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან, სულ 350 მონაწილე (მათ შორის 65 ხელმძღვანელი). დელეგატები შერჩეულ იქნან საკავშირო დათვალიერებაში „ნორჩი ტექნიკოსები, ნატურალისტები და მკვლევარები — სამშობლოს!" აქტიუ-

რად მონაწილე, ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურ დათვალიერებებში, გამოფენებში, კონკურსებში, ოლიმპიადებსა და შეჯიბრებებში გამარჯვებულ მოსწავლეთაგან.

4. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა და რეკომენდაციები კვირეულის ჩასატარებლად დამტკიცდეს (თან ერთვის).

5. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის განათლების სამმართველოს, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, დოსააფის კომიტეტებს:

ა) შექმნან ანალოგიური კომიტეტები, ჩაატარონ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულის საზეიმო გახსნა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, უზრუნველყონ კვირეულის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება სკოლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ტექნიკის სახლებში, პროფკავშირთა კულტურის სასახლეებსა და სახლებში. იზრუნონ მოსწავლე ახალგაზრდობის კვირეულში ფართოდ ჩაბმისათვის; ყურადღება გაამახვილონ კვირეულის ჩატარების ორგანიზებაზე სოფელ ადგილებში. ახალგაზრდა მეცნიერთა, სპეციალისტთა, სტუდენტთა რიგებიდან შექმნან სპეციალური ჯგუფები სოფლის სკოლებში კვირეულის ამოცანათა პროპაგანდისათვის;

ბ) კვირეულის დღეებში მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილონ სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელების და მე-11 ხუთწლედის გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე, მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების მიღწევებზე, მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების, შემეცნებითი აქტივობისა და პროფესიული ორიენტაციის განვითარებაზე ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად;

გ) კვირეულის მონაწილეთა ქ. თბილისამდე და უკან დასაბრუნებელი გზისა და კვების ხარჯები გაღებულ იქნას სათანადო ქალაქის (რაიონის) განათლების განყოფილების მიერ.

6. რესპუბლიკური კვირეულის ჩატარების ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდეს. ხარჯები გაღებულ იქნას წილობრივი მონაწილეობით კვირეულის ორგანიზატორების მიერ:

— სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საქართველოს რესპუბლიკური საბჭო — 1500 მან.

— გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო — 1500 მან.

— საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი — 1000 მან.

— საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური — 3000 მან.

7. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა უზრუნველყოს საკავშირო კვირეულში მონაწილეობის მისაღებად რესპუბლიკის მოსწავლეთა დელეგაციის დაკომპლექტება და ქ. ბაქოში გამგზავრება.

8. გაზეთების „ნორჩი ლენინელის", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის", „სახალხო განათლების", ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების", საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკის სკოლებში კვირეულის მზადებისა და ჩატარების საკითხები, საუკეთესო კოლექტივების საქმიანობა, რომლებიც ზრუნავენ მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარებისათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებამ (ამხ. ა. ალავერდაშვილი) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. ე. ზარქუა) უზრუნველყონ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის ჩატარების პროგრამის შესრულება.

ინფორმაცია ქალაქებსა და რაიონებში მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულის ჩატარების შესახებ წარმოდგენილ იქნას ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში (თბილისი, აკ. წერეთლის პრ. № 1) 1985 წლის 20 იანვრამდე, ხოლო ინფორმაცია რესპუბლიკური კვირეულის ჩატარებისა და მისი შედეგების შესახებ წარმოადგინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში 1985 წლის 1 თებერვლამდე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ვ. ლორთქიფანიძე**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე
**ო. დოლიძე**

საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
**მ. პოლიაკოვი**

**მ. პოლიაკოვი**

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ი. გაგუნია**

საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე
**გ. ნანეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკური კვირეულის საორგანიზაციო კომიტეტი

დარჩია მ. დ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ხაჩიძე მ. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

პოლიაკოვი მ. ი. — საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ჩხაიძე თ. დ. — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ჭუმბურიძე ი. დ. — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ეპიტაშვილი გ. გ. — ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

ალავერდაშვილი ა. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

ლაფაჩი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს ინსპექტორი

გალდავა გ. კ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი

მარტიროსოვი ლ. ა. — გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი

ლორთქიფანიძე ზ. დ. — საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს სწავლული მდივანი

მაჩაბელი თ. ს. — საქართველოს სსრ დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა განყოფილების ინსტრუქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეკომენდაციები

## ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეულის ჩასატარებლად

ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების კვირეული ტარდება ყოველწლიურად, ზამთრის არდადეგების პერიოდში. კვირეულში მონაწილეობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების IV-X კლასების მოსწავლეები.

### კვირეულის ჩატარების მიზანია:

— მოსწავლეთა შორის სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის, საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების მიღწევების პროპაგანდა;

— მოსწავლეთა დაინტერესება სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედებით, რაციონალიზაციითა და გამომგონებლობით, მათი მომზადება პროფესიის შეგნებულად არჩევისათვის;

— კვირეულის აქტიურად გამოყენება ტექნიკური წრეებისა და კლუბების, მოსწავლეთა სამეცნიერო საზოგადოებების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებისა და დოსააფის პირველადი ორგანიზაციების ქსელის გასაფართოებლად, მათი საქმიანობის საზოგადოებრივ-სასარგებლო მიმართულების გაძლიერება, მოსწავლეთა დაინტერესება ტექნიკური და სპორტული მოდელირებითა და სპორტის ტექნიკური სახეებით, სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების მატერიალური ბაზის განმტკიცება;

— მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების განვითარებით დაინტერესებული ორგანიზაციების გააქტიურება და მათი დაახლოება სკოლებთან, სკოლა-ინტერნატებთან და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან.

### კვირეულის შინაარსი

ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების საკავშირო კვირეული ტარდება სკოლებში, სკოლისგარეშე და კულტსაგანმანათლებლო ორგანიზაციებში, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ბაზებზე.

კვირეულის დღეებში ფართოდ უნდა გაიშალოს თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების მიღწევათა პროპაგანდა: მოსწავლეები გაეცნონ სკკპ 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებებს, მე-11 ხუთწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობას, მშობლიური მხარის სახალხო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს, მასობრივ მუშურ პროფესიებს და პროფტექნიკური განათლების სისტემას.

სკოლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებსა და ტექნიკის სახლებში შეიძლება ჩატარდეს მეცნიერებისა და ტექნიკის ზეიმი, თემატური საღამოები, საგნობრივი ოლიმპიადები, ზეპირი ჟურნალები, საზრიანთა ტურნირები, ვიქტორინები, ლექციები, საუბრები, სამეცნიერო-პოპულარული კინოჟურნალების ჩვენება, კედლის გაზეთების, რეფერატთა კონკურსები. შეიძლება ჩატარდეს შეხვედრები სოციალისტური შრომის გმირებთან, ხუთწლედის დამკვრელებთან, მეცნიერებთან და სპეციალისტებთან, რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებთან; შეჯიბრებები ტექნიკურ მოდელირებაში, კონკურსები საუკეთესო რაციონალიზატორულ წინადადებებზე, სპორტის ტექნიკურ სახეობათა ოსტატებისა და ნორჩი ტექნიკოსების საჩვენებელი გამოსვლები; მოდელების, ხელსაწყოების, კონსტრუქციების გამოფენები, ფანტასტიკური პროექტების დაცვის კონკურსები და სხვ.

საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, მუზეუმებში, ტექნიკურ ბიბლიოთეკებში რეკომენდებულია მოეწყოს: ღია კარის დღეები, ექსკურსიები, შრომითი დიდების ოთახების დათვალიერებები, შეხვედრები კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებთან, გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატებთან, შრომის ვეტერანებთან; კითხვა-პასუხის საღამოები, ლექციები და საუბრები სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური ცოდნის საკითხებზე, მოსწავლეთა კონკურსები პროფესიაში საუკეთესოების გამოსავლინებლად, მოსწავლეთა მიწვევა შრომის ზეიმზე, წარმოების ნოვატორებისა და მოწინავეების, შრომითი დინასტიებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე, ახალგაზრდა მუშების პროფესიული ოსტატობის კონკურსებზე.

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში უნდა ჩატარდეს კვირეულის საზეიმო გახსნა, შეკრებები, კონფერენციები, ნორჩ ტექნიკოსთა რეფერატების კონკურსები, მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების გამოფენები, ფოტოგამოფენები, შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეობებში. სამეცნიერო-შემეცნებითი კინოფილმების კვირეული, ქალაქისა და სოფლის მოსწავლეთა შეხვედრები.

კვირეულის მომზადებისა და ჩატარებისათვის კომკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან, დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით, იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებიც ატარებენ ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ სამუშაოს ორგანიზაციების, საწარმოებისა და კოლმეურნეობების, ახალგაზრდა მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების, მეცნიერების, სტუდენტების, გამომგონებლების, სპორტის ტექნიკურ სახეობათა ოსტატების მოზიდვისა და კვირეულის მუშაობაში ჩაბმისათვის.

სკოლაში, სკოლისგარეშე დაწესებულებაში იქმნება საბჭო ან შტაბი, რომელშიც შედიან პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების, საშეფო საწარმოთა წარმომადგენლები, ტექნიკური წრეების ხელმძღვანელები. საბჭო ადგენს კვირეულის მომზადებისა და ჩატარების გეგმას, ქალაქის, რაიონის პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. გეგმის მიხედვით განაწილდება დავალებები კლასებზე, ტექნიკურ და საგნობრივ წრეებზე, ლექტორთა ჯგუფზე, სასკოლო მუზეუმზე; გამოიყოფა პასუხისმგებელი პირები ამა თუ იმ კონკრეტული ღონისძიების ჩატარებაზე. საბჭო უზრუნველყოფს გეგმის შესრულებას, ახორციელებს შეფებთან კავშირს, უზრუნველყოფს კვირეულის მუშაობაში ყველა პიონერისა და მოსწავლის მონაწილეობას.

კვირეულისადმი მზადების პერიოდში შეიძლება ჩატარდეს კომკავშირული ორგანიზაციების დათვალიერება მოსწავლეთა სამეცნიერო-ტექნიკური შემოქმედების დარგში, ნორჩ ხელმარჯვეთა კონკურსები, შეიქმნას შრომითი დიდების, მშობლიური მხარის მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების, სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიის ოთახები და მუზეუმები, მოეწყოს ლექტორიუმები და კინოლექტორიუმები.

### ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მეცნიერების ტექნიკისა და წარმოების რესპუბლიკურ კვირეულში მონაწილეობის პირობები

კვირეულის მონაწილეებად შეიძლება შეირჩნენ რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კონკურსებში, შეკრებებში, ოლიმპიადებში, გამოფენებსა და შეჯიბრებებში გამარჯვებული ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების IV—X კლასების მოსწავლე ნორჩი ტექნიკოსები.

აუცილებელია მომზადდეს პატაკი ქალაქში (რაიონში) ტექნიკური შემოქმედების ხაზით მუშაობის საკითხებზე (ისტორიული ხასიათის მოკლე მონაცემები, ცნობები მუშაობის ამჟამად არსებული მდგომარეობისა და ნორჩ ტექნიკოსთა საუკეთესო კოლექტივების შესახებ), რომლის ჩაბარება კვირეულის გახსნის დროს უნდა მოხდეს.

თითოეული მონაწილე მოსწავლე კვირეულზე წარმოადგენს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ნამუშევარს, რომლის შესრულებაშიაც მას მონაწილეობა მიუღია (მოდელები, მცირეგაბარიტიანი მანქანები, მოწყობილობა, ნატურალისტური მუშაობა, სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოები და სხვ.)

იმუშავებს ოთხი სექცია: სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სა-

ტრანსპორტო საშუალებათა, რადიოელექტრონიკისა და ავტომატიკის, ქიმიური ტექნოლოგიის.

სამუშაოს თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს ერთ-ერთი სექციის პროფილს. წარმოდგენილი უნდა იქნას ისეთი ნამუშევრები, რომლებიც შესრულებულია 1983—1984 წლებში (მათ შორის რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს" შემაჯამებელ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები).

სექციურ სხდომებზე წარმოდგენილ ექსპონატებს თან უნდა ახლდეს ტექნიკური აღწერილობა, ინსტრუქცია მისი დემონსტრირებისათვის, საერთო ხედის ფოტოსურათი (13×18 სმ ზომის 2 ცალი).

სექციურ სხდომებზე მოსწავლეები დამსწრეებს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს, აქვე იწარმოებს მათი ნამუშევრების დაცვა.

ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას აკურატულად გაფორმებულ საქაღალდეებში, რომელზედაც აღინიშნება ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და წრის დასახელება.

თითოეული ქალაქის (რაიონის) დელეგაციას ხელმძღვანელობს განათლების განყოფილების, ან სკოლისგარეშე დაწესებულების წარმომადგენელი.

კვირეულის მონაწილეთა ჩამოსვლა და რეგისტრაცია იწარმოებს 1985 წლის 4 იანვარს, მისამართით: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის პრ. № 1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური (ტელ. 34-06-39, 34-07-60).

## რესპუბლიკური კვირეულის მონაწილეთა დაჯილდოება

ჟიურის გადაწყვეტილებით კვირეულზე წარმოდგენილი საუკეთესო ექსპონატების ავტორები აღინიშნებიან კვირეულის ორგანიზატორთა სიგელებითა და სამახსოვრო პრიზებით. დაჯილდოვდებიან აგრეთვე სპორტის ტექნიკურ სახეობათა საჩვენებელ გამოსვლებში, კონკურსებსა და ვიქტორინებში გამარჯვებული მოსწავლეები.

**ПОСТАНОВЛЕНИЕ БЮРО ЦК ЛКСМ ГРУЗИИ, КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР, ПРЕЗИДИУМА ГРУЗИНСКОГО РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИХ ОБЩЕСТВ, ПРЕЗИДИУМА ГРУЗИНСКОГО РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ВСЕСОЮЗНОГО ОБЩЕСТВА ИЗОБРЕТАТЕЛЕЙ И РАЦИОНАЛИЗАТОРОВ, БЮРО ПРЕЗИДИУМА ЦК ДОСААФ ГРУЗИНСКОЙ ССР**

**О проведении Республиканской недели науки, техники и производства для детей и юношества**

**23 ноября 1984 года**

В соответствии с постановлением Секретариата ЦК ВЛКСМ, Коллегии Министерства просвещения СССР, Президиума Всесоюзного Совета научно-технических обществ, Президиума Центрального Совета Всесоюзного общества изобретателей и рационализаторов, Президиума Правления Всесоюзного общества «Знание», Бюро Президиума ЦК ДОСААФ СССР «О проведении Всесоюзной недели науки, техники и производства для детей и юношества» Бюро ЦК ЛКСМ Грузии, коллегия Министерства просвещения Грузинской ССР, Президиум Грузинского РСНТО, Президиум Грузинского РС ВОИР, Бюро Президиума ЦК ДОСААФ Грузинской ССР постановляют.

1. Провести 4—8 января 1985 года в г. Тбилиси, на базе Центральной станции юных техников очередную Республиканскую Неделю науки, техники и производства для детей и юношества, посвященную 40-летию Победы над фашизмом.

2. Разнарядку участников утвердить.

3. Торжественное открытие Республиканской Недели науки, техники и производства для детей и юношества порвести в г. Тбилиси.

Пригласить на открытие делагации школьников из городов и районов республики в количестве 330 человек (в том числе 65 руководителей) из числа активных участников Всесоюзного смотра «Юные техники, натуралисты и исследователи—Родине», победителей Республиканских научно-технических смотров, выставок, конкурсов, олимпиад и соревнований юных техников.

4. Состав оргкомитета и рекомендации по проведению Недели утвердить (прилагается).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. Обязать Министерства просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделы народного образования Юго-Осетинской А/О, городов и районов республики, Управление народного образования г. Тбилиси, обкомы, горкомы, райкомы комсомола, советы ВОИР и НТО, комитеты ДОСААФ:

а) создать аналогичные оргкомитеты, провести торжественное открытие Недели в городах и районных центрах, обеспечить проведение Недели на высоком организационном уровне в школах, внешкольных учреждениях, домах культуры и техники профсоюзов. Обеспечить активное участие в проведении Недели учащейся молодежи. Обратить особое внимание на организацию Недели в сельской местности, сформировать из числа молодых ученых, специалистов, студентов специалные группы по пропаганде задач Недели и направить их в сельские школы;

б) в ходе Недели сосредоточить усилия на ознакомлении учащихся с самоотверженным трудом советского народа в деле претворения в жизнь решений XXVI съезда КПСС, ходом выполнения планов XI пятилетки, достижениями науки, техники и производства в нашей стране, на развитии познавательной активности, научно-технического творчества, профессиональной ориентации школьников, в свете основных направлении реформы общеобразовательной и профессиональной школы;

в) расходы по оплате проезда и питания в пути школьников и командированию руководителей, несут городские (районные) отделы народного образования.

6. Омету расходов по проведению Недели утвердить. Расходы несут на долевых началах организаторы Недели:

— Республиканский совет НТО — 1500 рублей;
— Республиканский Совет ВОИР — 1500 рублей;
— ЦК ДОСААФ Грузинской ССР — 1000 рублей.
— Центрьная станция юных техников Министерства просвещения Грузинской ССР — 3000 рублей.

7. Центральной станции юных техников обеспечить комплектование и отправку делегации школьников республики для участия во Всесоюзной Неделе в г. Баку.

8. Редакциям газет «Норчи Ленинели», «Ахалгазрда комунисти», «Молодежь Грузии», «Сахалхо ганатлеба», журнала «Скола да цховреба», редакциям детских передач Грузинского

радио и телевидения широко освещать подготовку и проведение Недели в школах республики, лучший опыт работы коллективов по развитию научно-технического творчества школьников.

Отделу учащейся молодежи ЦК ЛКСМ Грузии (тов. А. Алавердашвили) и Управлению воспитательной работы Министерства просвещения Грузинской ССР (тов. Э. Заркуа) обеспечить выполнение программы Недели.

Информацию о проведении Недели науки, техники и производства в городах и районах представить в Центральную станцию юных техников (г. Тбилиси, пр. Ак. Церетели, № 1) до 20 января 1985 года, а информацию о проведении и результатах Республиканской недели—в ЦК ЛКСМ Грузии—до 1 февраля 1985 г.

**Секретарь ЦК ЛКСМ Грузии**
**В. Г. Лордкипанидзе**

**Заместитель Министра просвещения Грузинской ССР**
**О. В. Долидзе**

**Первый заместитель Председателя РС НТО**
**М. И. Поляков**

**Председатель РС ВОИР**
**И. В. Габуния**

**Председатель ЦК ДОСААФ Грузинской ССР**
**Г. В. Нанеишвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## О Р Г К О М И Т Е Т

### по подготовке и проведению Республиканской Недели науки, техники и производства для детей и юношества

Дарчия М. Д. — заместитель Министра просвещения Грузинской ССР, председатель оргкомитета

Хачидзе М. И. — секретарь ЦК ЛКСМ Грузии, заместитель председателя оргкомитета

Поляков М. И. — первый заместитель председателя РС НТО, заместитель председателя оргкомитета

Чхаидзе Т. Д. — заместитель председателя ЦК ДОСААФ Грузинской ССР, заместитель председателя оргкомитета

Чумбуридзе И. Д. — ответственный Секретарь РС ВОИР, заместитель председателя оргкомитета

Эпиташвили Г. Г. — директор Центральной станции юных техников, секретарь оргкомитета

Алавердашвили А. И. — заведующий Отделом учащейся молодежи ЦК ЛКСМ Грузии

Заркуа Э. А. — начальник Управления воспитательной работы Министерства просвещения Грузинской ССР

Лапачи Г. Г. — инспектор Управления воспитательной работы Министерства просвещения Грузинской ССР

Галдава Г. К. — инструктор ЦК ЛКСМ Грузии

Мартиросов Л. А. — инструктор РС ВОИР

Лордкипанидзе З. Д. — ученый секретарь РС НТО

Мачабели Т. С. — инструктор Отдела военно-технических видов спорта ЦК ДОСААФ Грузинской ССР

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# РЕКОМЕНДАЦИИ

## по подготовке и проведению Всесоюзной Недели науки, техники и производства для детей и юношества

Всесоюзная Неделя науки, техники и производства для детей и юношества проводится ежегодно в дни зимних каникул. В Неделе участвуют учащиеся IV—X классов общеобразовательных школ и школ-интернатов.

### Цели проведения Недели

— пропаганда научно-технического знания, достижении советской науки, техники и производства среди школьников;

— развитие стремления школьников к научно-техническому творчеству, рационализации и изобретательству, подготовка их к сознательной трудовой деятельности;

— активное использование Недели для расширения сети технических кружков и клубов, научных обществ учащихся, первичных организаций ВОИР, ДОСААФ, усиления общественно-полезной направленности их деятельности, вовлечение школьников в занятия спортивным моделированием и техническими видами спорта, укрепление материальной базы научно-технического творчества;

— координация деятельности и активизация всех заинтересованных организаций по развитию научно-технического творчества учащихся.

### Содержание Недели

Неделя науки, техники и производства проходит в школах, внешкольных учреждениях, культобразовательных организациях, творческих объединениях учащихся при вузах и научно-исследовательских институтах, на базе промышленных и сельскохозяйственных производств.

В дни Недели надо широко развернуть пропагану достижений соврменной науки, техники и производства, довести до школьников решения XXVI съезда КПСС, ход выполнения планов XI пятилетки, основные направления развития народного

хозяйства родного края, ознакомить их с массовыми рабочими профессиями и системой профтехобразования.

В школах, внешкольных учреждениях и домах техники можно провести праздники науки и техники, тематические вечера, предметные олимпиады, устные журналы, турниры смекалистых, викторины, лекции, беседы, просмотры научно-популярных киножурналов, конкурсы стенгазет, рефератов; встречи с Героями Социалистического труда, ударниками пятилетки, учеными и специалистами, рационализаторами и изобретателями, выпускниками школы; соревнования по техническому моделированию, конкурсы на лучшее рационализаторское предложение, показательные выступления известных мастеров по техническим видам спорта и юных техников, выставки моделей, приборов, конструкций, конкурсы защиты фантастических проектов.

На предприятиях, стройках, в колхозах и совхозах, учебных заведениях, научных учреждениях, музеях, технических библиотеках следует организовать «дни открытых дверей», экскурсии, посещение комнат трудовой славы, встречи с комсомольско-молодежными коллективами, с изобретателями и рационализаторами, лауреатами премии Ленинского комсомола, ветеранами труда; вечера вопросов и ответов, лекции и беседы по вопросам научно-технического и экономического знания, конкурсы учащихся для выявления лучших по профессий, приглашение школьников на Праздники труда, на мероприятия, посвященные новаторам и передовикам производства, рабочим династиям, на конкурсы профессионального мастерства молодых рабочих.

В городах и районах следует провести торжественное открытие Недели, выставки научно-технического творчества учащихся, фотовыставки, соревнования по техническим видам спорта, Неделю научно-познавательных фильмов встречи городских и сельских школьников.

При горкомах и райкомах комсомола создаются совместно с заинтересованными организациями оркомитеты по подготовке и проведению Недели. Оргкомитет проводит организаторскую и пропагандистскую работу по вовлечению в мероприятия Недели организаций, предприятий и колхозов, молодых специалистов, ученых, студентов, изобретателей, мастеров техничских видов спорта.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

В школе, внешкольном учреждении создается совет или штаб, в который входят представители пионерской и комсомольской организаций, шефствующих предприятий, руководители техничесих кружков. Совет составляет план подготовки и проведения Недели, учитывая условия и возможности города, района. В плане подготовки определяются задания классам, техническим и предметным кружкам, лекторской группе, школьному музею, указываются ответственные за подготовку тех или иных вопросов, сроки выполнения работы.

Совет обеспечивает связь с шефами, участие в работе Недели всех пионеров и школьников.

В ходе подготовки к Неделе могут пройти смотры работы комсомольских организаций по развитию научно-технического творчества учащихся, конкурсы юных умельцев, могут быть созданы комнаты и музеи трудовой славы, истории развития науки, промышленности, сельского хозяйства родного края, организованы лектории и кинолектории.

## Условия участия в Республиканской Неделе науки, техники и производства для детей и юношества

Участниками Недели могут быть юные техники — учащиеся IV—X классов общеобразовательных средних школ, из числа победителей в республиканских, областных, городских и районных смотрах, конкурсах, слетах, выставках и соревнованиях.

Следует представить рапорт о состоянии работы по техническому творчеству в городе, районе (краткие данные исторического характера, данные о положении деятельности в настоящее время и лучших коллективах юных техников).

Каждый участник школьник в ходе Недели представляет индивидуальную или коллективную работу, в изготовлении которой он принимал участие (модели, малогабаритные машины, оборудование, натуралистическая работа, учебно-наглядные пособия и др.).

Будут работать четыре секции; механизации сельского хозяйства, транспортных средств, радиоэлектроники и автоматики, химической технологии.

Тематика работы должна соответствовать профилю одной

из секций. Следует представить работы, выполненные в 1983—1984 годах (в том числе работы, представленные на итоговую выставку Республиканского конкурса «Юные техники—Родине!»)

Представленные на секционных заседаниях экспонаты должны сопровождаться техническими описаниями, инструкциями по демонстрации экспоната, фотографиями общего вида (13×18 см. 2 экз).

В работе секции учащиеся делятся своим опытом, защищают свои работы.

Техническую документацию следует представить в аккуратно оформленных папках, с указанием фамилии имени, отчества автора и наименования кружка.

Руководителем делагации каждого города (района) является представитель отдела народного образования, или внешкольного учреждения.

Заезд и регистрация участников Недели —4-го января 1985 года, по адресу; г. Тбилиси, пр. Ак. Церетели № 1. Центральная станция юных техников (тел. 34-06-30, 34-07-60).

### Награждение участников Республиканской Недели

По решению жюри авторы представленных на Неделю наилучших работ будут отмечены грамотами организаторов Недели и памятными призами.

Будут также награждены победители в показательных выступлениях по техническим видам спорта, в конкурсах и викторинах.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1984 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება

## მოსწავლეთა 39-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და მე-40 კონფერენციის ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა 39-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, რომელიც საკავშირო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 60 წლისთავს მიეძღვნა, ჩატარდა ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, რაც განაპირობა რაიონული, საქალაქო და საოლქო კონფერენციებისადმი პასუხისმგებლობის გაზრდამ.

კონფერენციაზე წარმოდგენილმა ნაშრომებმა ნათელყო, რომ რესპუბლიკის სკოლებში სავალდებულო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის პარალელურად, საინტერესო კლასგარეშე მუშაობაა გაშლილი და მასში ბევრი ნიჭიერი და დაინტერესებული მოსწავლეა ჩაბმული. კონფერენციაზე, რომელიც 25-26-27-28 აპრილს მიმდინარეობდა, 25 სექციამ იმუშავა (ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, რადიო, ასტრონომია-ბიოლოგიის, ექსპერიმენტული ბიოლოგიის, სოფლის მეურნეობის, ისტორია-მხარეთმცოდნეობის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ქართული ლიტერატურის, ქართული ენა-ონომასტიკის, ფოლკლორის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ფსიქოლოგია-ფილოსოფიის, სამართალმცოდნეობის, უცხოური ენებისა და ლიტერატურის, ინტერნაციონალური აღზრდის, ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი, კომკავშირული მუშაობის, საქართველოს პიონერული ორგანიზაციის ისტორიისა და პიონერული მუშაობის, ხელოვნებათმცოდნეობის, საყოფაცხოვრებო ესთეტიკის, გასართობებისა და მასობრივი მუშაობის).

კონფერენციის წარმატებას ხელი შეუწყო სკოლების კავშირმა უმაღლეს სასწავლებლებთან, სამეცნიერო ცენტრებსა და წარმოებებთან; ამაზე მეტყველებს მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც შესრულებულია კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვა სამეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერო დაწესებულებების ლაბორატორიებში, საცდელ სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტში რესპუბლიკის 59 რაიონიდან და ქალაქიდან შემოვიდა 3010 ნაშრომი, რომელთაგან 436 მოსმენილი იქნა 25 სექციის 32 დასკვნით სხდომაზე.

სექციური სხდომები მიმდინარეობდა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიებში, სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიებში, ვ. ი. ლენინის სახელმწიფო მუზეუმის თბილისის ფილიალში, საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმში, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს ძეგლთა დაცვისა და გეოგრაფიული საზოგადოების, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თბილისის ლაბორატორიის სხდომათა დარბაზებში, ბოლნისის მცირე აკადემიის გეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე. სექციურ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სახელოვანმა მეცნიერებმა, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ნორჩ ავტორთა მიერ წარმოდგენილ თემებს, დაუსახეს გზები შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს პიონერული ორგანიზაციის ისტორიისა და პიონერული მუშაობის სექციაში გამოიკვეთა პიონერული ორგანიზაციისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 60 წელთან დაკავშირებით რაზმეულებში ჩატარებული მუშაობა, ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშის მარშრუტებზე პიონერების საქმიანობა და მათი აქტიური მონაწილეობა პიონერული შრომითი საქმეების ხუთწლედში.

იმატა ნაშრომთა რაოდენობამ ინტერნაციონალური აღზრდის სექციაში. უმეტეს მათგანში ასახულია მშვიდობის, ინტერნაციონალური მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცებისათვის ბრძოლა. საგრძნობლად შემცირდა „მომგებიანი" თემატიკით გატაცება, ამაღლდა ნაშრომთა შესრულების დონე.

მხატვრული აზროვნებით, ჟანრობრივი სიუხვით, ჩანაფიქრის ორიგინალური ხორცშესხმით გამოირჩევა ქართული ლიტერატურის, ქართული ენა-ონომასტიკის, ფოლკლორის სექციურ სხდომებზე წარმოდგენილი მოხსენებები. აღინიშნა, რომ მოსწავლეები თამამად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას, მსჯელობენ აქტუალურ საკითხებზე. ყურადღება გამახვილდა ნორჩ ფოლკლორისტთა საკვლევაძიებო ხასიათის მუშაობაზე, რომელშიც აქტიურად არიან ჩაბმული: ორჯონიკიძის, ხულოს, საჩხერის, თელავის, თიანეთის, წითელწყაროს, მახარაძისა და სხვა რაიონების სკოლები.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალმცოდნეობისა და ფსიქოლოგიის სექციებზე ნაშრომები რაოდენობრივად მცირე იყო, სხდომებზე გამოსულმა მომხსენებლებმა გამოამჟღავნეს საკითხში საფუძვლიანად წვდომის, ანალიზის უნარი.

რუსული ენისა და ლიტერატურის სექციაზე წარმოდგენილი იყო

როგორც თხზულებები, ასევე საკუთარი ლექსები, მოთხრობები და ლიტერატურული ჩანახატები. წარმატებით გამოვიდნენ თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, რუსთავის სკოლების მოსწავლეები.

ისტორია-მხარეთმცოდნეობის, გეოგრაფია-გეოლოგიისა და ტურიზმის სექციებზე ნათლად იგრძნობოდა, თუ რა დიდი ინტერესით ეცნობა მოსწავლე ახალგაზრდობა მშობლიური მხარის წარსულს, აწმყოს, მომავალს, გატაცებულია საკვლევაძიებო, არქეოლოგიური საქმიანობით, სწავლობს ბუნებრივ რესურსებს. აღნიშნულ სექიცებზე მთიანი რაიონებიდან წარმოდგენილი იყო ხალხური რეწვის ნიმუშებიც.

მახაღლხარისხოვანი ნაშრომები იყო მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ასტრონომიისა და რადიოს სექციების სხდომებზე. აქ წლების მანძილზე წარმატებით გამოდიან: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, ცხაკაიას, ახალციხის, ცაგერისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების სკოლების მოსწავლეები. განსაკუთრებით აღინიშნა ფიზიკის სექციაში ხულოს ალ. ქონიაძის სახელობის და თბილისის 42-ე საშუალო სკოლების მოსწავლეთა ნაშრომები.

ბიოლოგიისა და ექსპერიმენტული ბიოლოგიის სექციებზე გამოვლინდა მოსწავლეების მიერ ჩატარებული პრაქტიკული მუშაობის შედეგები, მათ მიერ წარმოებული დაკვირვებების მნიშვნელობა. საგულისხმოა, რომ მოსწავლეთა მოხსენებებში დიდი ადგილი ეჭირა როგორც ბუნების დაცვის პრობლემებს, ასევე გენეტიკის, ფიზიოლოგიისა და სამედიცინო ბიოლოგიის საკითხებს.

სოფლის მეურენობის სექციაში ჭარბობდა მოსწავლეთა შრომითი საქმიანობის ამსახველი მოხსენებები, სადაც ნათლად გამოჩნდა მათი წვლილი სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში. სოფლის მეურნეობის სექციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ ამბროლაურის, გარდაბნის, ყვარლის, ახალციხის, მახარაძის, ზუგდიდისა და სხვა რაიონების მოსწავლეები.

საყოფაცხოვრებო ესთეტიკის სექციაზე წარმოდგენილი თემები ეხებოდა ამ დარგის აქტუალურ საკითხებს, ეროვნულ კულინარიას, გამოყენებით ხელოვნებას. მცირერიცხოვანი ნაშრომები იყო ხელოვნებათმცოდნეობის სექციაზე. საკითხებისადმი ორიგინალური მიდგომით გამოირჩეოდა ქალაქ ქუთაისის სკოლებიდან შემოსული თემები.

39-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მუშაობაში შეინიშნებოდა ნაკლოვანებებიც. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ: ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ყაზბეგის, თერჯოლის, წალკის რაიონებს. მცირერიცხოვანი ნაშრომები იყო ქარელის, ბოლნისის, ყვარლის, აბაშის, თიანეთის, გურჯაანის, საგარეჯოს, მცხეთისა და ლაგოდეხის რაიონებიდან. მხოლოდ ერთი ნაშრომი იყო მარნეულის რაიონიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკონფერენციო ნაშრომების განხილვასა და რეცენზირების საქმეს უყურადღებოდ მოეკიდნენ სიღნაღის, ახმეტის, მარნეულისა და ჭიათურის საორგანიზაციო კომიტეტები.

მოისუსტებს კლასგარეშე მუშაობა სამართალმცოდნეობის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიის, ტურიზმისა და ალპინიზმის ხაზით, საჭიროა ამ საქმიანობაში მოსწავლეთა ფართოდ მოზიდვა და ჩაბმა. ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები განაპირობა რიგი განათლების განყოფილებების, კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების არასათანადო ყურადღებამ მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისადმი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ძირითადად მოწონებულ იქნას საქმიანობა, რომელიც გასწიეს რესპუბლიკის კომკავშირის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, განათლების განყოფილებებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ მოსწავლეთა 39-ე რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ მოსწავლეთა 39-ე რესპუბლიკურ სასწავლო შემოქმედებით კონფერენციაზე საუკეთესო ნაშრომების წარმოდგენისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა 247 მოსწავლე, მეორე ხარისხის დიპლომით — 463 მოსწავლე, დიპლომით — 100 წრე, ცალკეული კოლექტივები, სკოლისგარეშე დაწესებულებები და პედაგოგები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდა 23 მოსწავლე, ხოლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სიგელით 11 მოსწავლე.

3. მოსწავლეთა 39-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშნით, „სახალხო განათლების წარჩინებული" დაჯილდოვდეს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონების 4 მასწავლებელი (სია თან ერთვის).

4. დამტკიცდეს მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 1).

5. მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარება დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

მიღებულ იქნას ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექციის წინადადება, მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ჩატარდეს თბილისში, 1985 წლის 21-22-23-24 აპრილს და მიეძღვნას იგი საბჭოთა ხალხის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მე-40 წლისთავს.

6. დაევალოს აფხაზეთის, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, განიხილონ 39-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მე-40 სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის.

7. სასკოლო, რაიონული (საქალაქო, საოლქო) კონფერენციების ორგანიზებულად ჩატარებაზე პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროთ საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნებს, განათლების განყოფილებათა გამგეებს, რაიონული მეთოდური კაბინეტების გამგეებს, პიონერთა სახლებისა და სკოლების დირექტორებს. მათვე დაევალოთ დროულად შექმნან ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები და გამოიყენონ სექციის ხელმძღვანელებად გამოცდილი კვალიფიციური მეთოდისტები.

სასკოლო კონფერენციები ჩატარდეს 1984 წლის 20 დეკემბრამდე, ხოლო სარაიონო, საქალაქო, საოლქო კონფეერნციები — 1985 წლის 1 თებერვლამდე, გამარჯვებული ნაშრომები რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს ბარდება 1985 წლის 20 თებერვლამდე წინასწარ დამტკიცებული განრიგის ზუსტი დაცვით.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კვლევით ინსტიტუტებსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტთან არსებულ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ქმედითი დახმარება გაუწიონ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს მე-40 სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ორგანიზებულად ჩატარებაში.

9. დაევალოს გაზეთების „სახალხო განათლების" „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის", „ნორჩი ლენინელის" რედაქციებს, ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს ფართოდ გააშუქონ მოსწავლეთა მე-40 სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მზადებისა და მუშაობის პროცესი.

10. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ჩატარებისათვის პიონერთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს გამოუყოს სათანადო მატერია-ლურ-ტექნიკური საშუალებები.

11. დამტკიცდეს მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის ხარჯთაღრიცხვა.

**კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ლორთქიფანიძე**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“ დაჯილდოვდნენ მასწავლებლები:

1. ბაქრაძე მზია რევაზის ასული — თბილისის 67-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი

2. დანიელაშვილი ლია იუდას ასული — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე მეთოდურ დარგში

3. მიქაძე ნანა ალექსანდრეს ასული — თბილისის მე-5 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

4. შენგელია ნანა ალექსანდრეს ასული — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქართული ენისა და ლიტერატურის წრის მასწავლებელი

### მოსწავლეთა მე-40 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

1. ხარაძე ე. კ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (თავმჯდომარე)

2. დარჩია მ. დ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)

3. ხაჩიძე მ. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)

4. ჟღენტი თ. გ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)

5. კოღონია თ. ი. — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი

6. წულუკიძე ვ. მ. — აჭარის ასსრ განათლების მინისტრი

7. ფუხაევა ფ. პ. — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგე

8. ალავერდაშვილი ნ. ვ. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე

9. ტატიშვილი თ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი

10. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი

11. მელაძე ჰ. ე. — საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე

12. ჩიქვანაია ლ. თ. — თბილისის განათლების სამმართველოს უფროსი

13. თუთბერიძე ჰ. მ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების სამმართველოს უფროსი

14. დანიელაშვილი ლ. ი.— ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე

15. გოდერძიშვილი ნ. ი. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე

16. ხუტულაშვილი გ. ვ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე

17. მთვარაძე გ. ვ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პოლიტმასობრივი მუშაობის კაბინეტის გამგე

18. ხანიაშვილი ნ. რ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მეთოდური მუშაობის განყოფილების გამგე

19. კასრაძე ა. დ. —ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის საგამომცემლო სექტორის გამგის მოვალეობის შემსრულებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება

## საბავშვო ბაღში უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და სწავლების პროგრამის დამტკიცებისა და მისი გამოსაცემად რეკომენდების შესახებ

საბავშვო ბაღში უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და სწავლების პროგრამა შედგენილია ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტებისა და სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის თანამშრომლების მიერ „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებისა“ და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის დადგენილების „საზოგადოებრივი სკოლამდელი აღზრდისა და ბავშვთა სკოლაში სწავლებისათვის მომზადების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ საფუძველზე.

პროგრამაში ყურადღებაა გამახვილებული აღზრდისა და სწავლების ერთიანობის პრინციპზე, ცოდნის იმ მოცულობაზე, რომელიც აუცილებელია 5 წლის ბავშვის სკოლისათვის მოსამზადებლად. პროგრამა ასევე ითვალისწინებს იმ უნარ-ჩვევებისა და პიროვნული თვისებების ფორმირებას, რომლებიც ხუთი წლის ასაკის ბავშვებს სასკოლო ცხოვრების პირობებთან შეგუებას გაუადვილებენ.

თამაშის განაყოფის პროგრამა დაკონკრეტდა. მასში შეტანილ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: ორგანიზატორული უნარის ჩამოყალიბება, ინიციატივის, აქტივობის, მიზანმიმართული მოქმედების განვითარება, შრომისადმი, სკოლისადმი დადებითი დამოკიდებულების, ინტერესის ფორმირება და სხვ.

მშობლიური ენის სწავლების პროგრამაში ყურადღება გამახვილდა კითხვის სწავლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე: ამ ასაკის ბავშვმა უნდა შესძლოს ორ-სამსიტყვიანი წინადადებების დასახელება, ორ-სამ, ოთხბგერიანი სიტყვის ანალიზი. მეტი დრო დაეთმო ბავშვებთან მწყობრი მეტყველების განვითარებისათვის ჩასატარებელ მუშაობას.

გარემოს გაცნობის პროგრამის სტრუქტურაში შეტანილ იქნა ცვლილებები. იგი შედარებით დაკონკრეტდა, დაჯგუფდა, მეტი ყურადღება მიექცა უფროსების შრომას. მასში ახალ საკითხად შევიდა პიონერული ორგანიზაციისა და სკოლის შესახებ ცოდნის მიწოდება, ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე წარმოდგენების ჩამოყალიბება.

მათემატიკურ წარმოდგენათა განვითარებაში — უკუთვლა, სმენითი აღქმა, შეკრება-გამოკლების ოპერაციები, ერთკითხვიანი მარტივი ამოცანების ამოხსნა, რიცხვითი შემადგენლობის სწავლება (ერთეულებით, ჯგუფური) 6-ის ნაცვლად 10-ის ფარგლებში წარიმართება. დამატებით შეტანილია გაზომვა-აწყვა; პირობითი საზომით მანძილის, სიმაღლის, სისქის, სიგანის გაზომვა, მარცვლეულისა და სითხის აწყვა.

პროგრამაში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ამ ასაკის ბავშვთა ფიზიკური მონაცემების განვითარებას, გაზრდილია ბავშვთა ფიზიკური მომზადების საორიენტაციო მაჩვენებლები: ადგილიდან სიგრძეზე ხტომა იყო 60 სმ, გაიზარდა 60 სმ-მდე, სიმაღლეზე 15-20 სმ-მდე; 30—40 სმ-მდე. დამატებით შეტანილია: საშუალო სიჩქარით რბენა 60—100 მ-მდე. ნელი რბენა 320 მ-მდე, ჩქარი რბენა 10 მ-მდე (3—4-ჯერ), მაქოსებური რბენა; აქტიური დასვენება (მარტივი ტურისტული ლაშქრობა, სპორტული თამაშები, ზეიმები, ჯანმრთელობის დღე), საშინაო დავალებები; ბავშვთა გონებრივი დატვირთვის შემსუბუქების მიზნით გათვალისწინებულია ერთკვირიანი არდადეგების მოწყობა.

ხატვა—ძერწვა—აპლიკაციას გამოეყო კონსტრუირება, დაემატა ხატვა ნატურიდან; ბავშვების შესაძლებლობებიდან გამომდინარე გაიზარდა თემატიკა; პროგრამაში ერთ-ერთ ამოცანად შევიდა შეფასების უნარის ჩამოყალიბება.

ახლებურადაა დასმული ამ ასაკის ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საკითხი, გამოიკვეთა მხატვრულ-მუსიკალური სახის აღქმის ფორმირება, როგორც თვით პროგრამაში, ისე პროგრამით გათვალისწინებულ რეპერტუარშიც.

გადამუშავდა შრომითი აღზრდის პროგრამა, წინ წამოიწია შრომის ისეთმა სახეებმა, როგორიცაა: თვითმომსახურება, საყოფაცხოვრებოსამეურნეო ხასიათის შრომა, შრომა ბუნებაში; დაემატა ხეზე შრომა, ყურადღება გამახვილდა კოლექტიურ შრომაზე, შრომის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე.

პროგრამაში შეტანილია მშობლებთან მუშაობის საკითხები.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საბავშვო ბაღის უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდისა და სწავლების პროგრამა დამტკიცდეს.

2. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) უზრუნველყოს პროგრამის გამოცემა 1985—1986 სასწავლო წლისათვის ტირაჟით 5000 ეგზემპლარი.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება

### ზოგიერთი რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულების რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაცემის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ დღეისათვის სამინისტროს რესპუბლიკურ ბიუჯეტზე იმყოფება სახალხო განათლების 76 სხვადასხვა დაწესებულება, რომელთა მუშაობაზე კონტროლის დაწესება და მათი ხელმძღვანელობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გაძნელებულია. ამასთან, ზოგიერთი დაწესებულების რესპუბლიკურ ბიუჯეტზე არსებობა მისი მუშაობის შინაარსის გამო, მიზანშეუწონელი და გაუმართლებელია, რაზედაც მრავალჯერ იქნა მითითებული როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი სადირექტივო ორგანოების მიერ.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე, განათლების სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანებისა და საკავშირო და რესპუბლიკური სადირექტივო ორგანოების მითითებათა გათვალისწინებით, კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გადაყვანილ იქნან რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტზე განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებანი თანახმად დანართისა.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) უზრუნველყოს დანართში ჩამოთვლილი დაწესებულებების ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაცემასთან დაკავშირებული საჭირო ღონისძიებების დროული გატარება.

3. განათლების სამინისტროს შესაბამისმა სამმართველო განყოფილებებმა, მოქმედი წესების დაცვით, მოამზადონ წინადადებანი კოლეგიაზე განსახილველად ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაცემულ დაწესებულებათა დებულებებში სათანადო ცვლილებების შეტანის შესახებ.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი

# სია

## ადგილობრივ ბიუჯეტზე გადასაცემი რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებისა

| № | რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების დასახელება | სახალხო განათლების ორგანოების დასახელება, რომელთა ბიუჯეტზეც ხდება გადაყვანა | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | რესპუბლიკური საბაზო ბაგა-ბაღი | ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 2 | რესპუბლიკური ბაგა-ბაღი № 1 | " " | |
| 3 | რესპუბლიკური ბაგა-ბაღი № 2 | ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 4 | რესპუბლიკური ბაგა-ბაღი № 3 | ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 5 | სოხუმის საპორტო ბაგა | ქ. სოხუმის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 6 | ენგურჰესის ბაგა | წალენჯიხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 7 | რეაბილიტაციის ცენტრთან არსებული დაწყებითი სკოლა | ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 8 | 1-ლი ექსპერიმენტული საშუალო სკოლა | ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 9 | მე-2 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა | ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 10 | მე-3 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა | ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 11 | ბათუმის მეზღვაურთა დაუსწრებელი სკოლა | აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| № | 1 | 2 | 3 |
|---|---|---|---|
| 12 | სამხატვრო სკოლა | ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო | |
| 13 | საცირკო სკოლა | ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო | |
| 14 | პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმი | ბორჯომის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 15 | ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმი | აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო | |
| 16 | წალენჯიხის სანატორიული სკოლა-ინტერნატი | წალენჯიხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 17 | ახალდაბის სანატორიული სკოლა-ინტერნატი | ბორჯომის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 18 | სალხინოს სანატორიული სკოლა-ინტერნატი | გეგეჭკორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 19 | ტაშისკარის სანატორიული სკოლა-ინტერნატი | ხაშურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 20 | გორდის სანატორიული სკოლა-ინტერნატი | წულუკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 21 | თბილისის დამხმარე სკოლა-ინტერნატი № 1 | ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველო | |
| 22 | თბილისის დამხმარე სკოლა-ინტერნატი № 2 | ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |
| 23 | ი. გოგებაშვილის სახელობის კარიანის მუზეუმი | გორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 29 ნოემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### 1985—1986 სასწავლო წლისათვის დასაბეჭდი სახელმძღვანელოების სიისა და ტირაჟების განხილვა-დამტკიცების შესახებ

განიხილა რა სახელმძღვანელოების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი 1985—1986 სასწავლო წლისათვის დასაბეჭდი სახელმძღვანელოების სია და ტირაჟები, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით 1985—1986 სასწავლო წლისათვის დასაბეჭდი სახელმძღვანელოების სია და ტირაჟები (თან ერთვის).

2. ეთხოვოს გამომცემლობა „განათლებას" (ამხ. ლ. ხუნდაძე), აღნიშნული სახელმძღვანელოების გამოცემა გაითვალისწინოს 1985 წლის თემატური გეგმით და უზრუნველყოს მათი დაბეჭდვა 1985 წლის 1-ელ ივლისამდე.

3. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):

3. 1. სისტემატური კონტროლი დააწესოს გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოების ბეჭდვაზე და პერიოდულად მოახსენოს კოლეგიას მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

3. 2. მოსწავლეთა კონტინგენტის, მასწავლებელთა და სკოლების რაოდენობის გათვალისწინებით აღნიშნული სიით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები მაქსიმალური სიზუსტით გაანაწილოს რესპუბლიკის სახალხო განათლების განყოფილებებზე და 1985 წლის 15 აპრილამდე უზრუნველყოს სახელმძღვანელოთა ლიმიტების ადგილებამდე დაყვანა.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება (დანართთან ერთად) გამოქვეყნდეს განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

**კოლეგიის თავმჯდომარე,**
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1985—1986 სასწავლო წლისათვის გამოსაცემი სახელმძღვანელოების გეგმა

| № | ავტორის გვარი და დასახელება | ვარგისი გამოცემები | ტირაჟი |
|---|---|---|---|
| | **1-ლი კლასი (6) — 101%** | | |
| 1 | რამიშვილი ვ. — დედაენა (ანბანი) | 1981—1985 | 70.0 |
| 2 | რამიშვილი ვ. — კლასგარეშე საკითხავი წიგნი | 1981—1985 | 70.0 |
| 3 | ბაქურაძე შ. და სხვა — მათემატიკა | 1978—1985 | 70.0 |
| 4 | ნიორაძე მ. და სხვა — უჩიმსია გოვორიტ პო რუსკი | 1980—1985 | 70.0 |
| 5 | ლარიბაშვილი მ. — გარე სამყაროს გაცნობა | ახალი | 70.0 |
| | **მე-2 კლასი — 11-წლიანი სწავლებისათვის დამატებით** | | |
| 6 | რამიშვილი ვ. — დედაენა | 1982—1985 | 20.0 |
| 7 | რამიშვილი ვ. — კლასგარეშე საკითხავი წიგნი | 1983—1985 | 20.0 |
| 8 | ბაქურაძე შ. და სხვა — მათემატიკა | 1978—1985 | 20.0 |
| 9 | რამიშვილი ვ. — ქართული ენა — გრამატიკა, მართლწერა და მეტყველების განვითარება | 1982—1985 | 20.0 |
| 10 | მაჭარაშვილი ქ. და სხვა — რუსკოე სლოვო | 1977—1985 | 40.0 |
| 11 | თოფურია ვ. — ქართული წერის დედანი (II-IV კლ.) | 1982—1985 | 80.0 |
| 12 | ლარიბაშვილი მ. — დაკვირვების დღიური | 1982—1985 | 80.0 |
| 13 | მუჯირი ჯ. — მუსიკის სახელმძღვანელო | 1983—1985 | 20.0 |
| | **მე-2 კლასი 10-წლიანი სწავლებისათვის 40%** | | |
| 14 | ბოცვაძე ნ. და სხვა — ქართული ენა | 1983—1985 | 28.0 |
| 15 | რამიშვილი ვ. — ქართული ენა — გრამატიკა, მართლწერა და მეტყველების განვითარება | 1983—1985 | 28.0 |
| 16 | ნიორაძე და სხვ. — რუსკოე სლოვო | 1956—1985 | 28.0 |
| 17 | ბაქურაძე შ. და სხვა — მათემატიკა | 1977—1985 | 28.0 |
| 18 | ქანქავა მ. — რუსული წერის დედანი | 1963—1985 | 60.0 |
| 19 | ქაპანაძე ვ., ხუნდაძე შ. — ბუნება | 1980—1985 | 28.0 |
| 20 | ხუნდაძე შ. — დაკვირვების დღიური | 1981—1985 | 70.0 |
| 21 | მუჯირი ჯ. — მუსიკის სახელმძღვანელო | 1984—1985 | 28.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| | **მე-3 კლასი — 40%** | | |
| 22 | ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ვ. — ქართული ენა | 1983—1985 | 28.0 |
| 23 | ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ ვ. — ქართული ენა — გრამატიკა. მართლწერა და მეტყველების განვითარება | 1983—1985 | 28.0 |
| 24 | ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ ს. და სხვა — რუსკოე სლოვო | 1945—1985 | 28.0 |
| 25 | ᲢᲧᲔᲛᲐᲚᲐᲫᲔ ტ. — მათემატიკა | 1972—1985 | 28.0 |
| 26 | ᲙᲐᲜᲙᲐᲕᲐ მ. — რუსული წერის დედანი | 1963—1985 | 60.0 |
| 27 | ᲦᲝᲜᲦᲣᲐ ბ. და სხვ. — ბუნებისმცოდნეობა (III—IV კლ.) | ახალი | 72.0 |
| 28 | ᲚᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ მ. — დაკვირვების დღიური | 1983—1985 | 70.0 |
| | **მე-4 კლასი, მოგვიანებითი ფონდირება 100%** | | |
| 29 | ᲒᲝᲚᲣᲑᲔᲕᲐ ტ. და სხვ. — მოთხრობები სსრკ ისტორიიდან | ახალი | 72.0 |
| 30 | ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ შ. დაკვირვების დღიური | 1983—1985 | 70.0 |
| | **მე-5 კლასი, მოგვიანებითი ფონდირება 100%** | | |
| 31 | ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ს. და სხვ. — რუსული ენა | ახალი | 72.0 |
| 32 | ᲙᲝᲠᲩᲐᲒᲘᲜᲐ ვ. — ბოტანიკა (V—VI კლ.) | ახალი | 72.0 |
| 33 | ᲙᲝᲠᲝᲕᲙᲘᲜᲘ ფ. — ძველი მსოფლიოს ისტორია | ახალი | 72.0 |
| | **მე-6 კლასი** | | |
| 34 | ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲔ პრ., ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ პ. — მშობლიური ლიტერატურა | 1983—1985 | 84.0 |
| 35 | ᲨᲐᲜᲘᲫᲔ აკ. — ქართული ენა | 1984—1985 | 84.0 |
| 36 | ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ ს. და სხვა — რუსული ენა | 1973—1985 | 30.0 |
| 37 | ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲩᲔᲕᲘ Ი., ᲛᲣᲠᲐᲕᲘᲜᲘ პ. — ალგებრა | ახალი | 84.0 |
| 38 | ᲞᲝᲒᲝᲠᲔᲚᲝᲕᲘ ა. — გეომეტრია (VI—X კლ.) | 1983—1985 | 70.0 |
| 39 | ᲞᲔᲠᲘᲨᲙᲘᲜᲘ ა. და სხვ. — ფიზიკა (VI—VII კლ.) | 1982—1985 | 70.0 |
| 40 | ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ დ., ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ ა. —ზოოლოგია (VI—VII კლ.) | 1951—1985 | 70.0 |
| 41 | ᲐᲒᲘᲑᲐᲚᲝᲕᲐ ე. და სხვ. — შუა საუკუნეების ისტორია | ახალი | 84.0 |
| 42 | ᲙᲝᲠᲘᲜᲡᲙᲐᲘᲐ ვ. და სხვ. — კონტინენტების გეოგრაფია | 1980—1985 | 84.0 |
| 43 | ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ ვ. — ფიზიკის ამოცანათა კრებული (VI—VII კლ.) | 1964—1985 | 70.0 |
| 44 | ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲫᲔ Თ. და სხვ. — გერმანული ენა | 1983—1985 | 40.0 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 45 | ბერიძე ლ. და სხვ. — ინგლისური ენა | 1983—1985 | 30.0 |
| 46 | ლებანიძე ე. და სხვ. — ფრანგული ენა | 1983—1985 | 14.0 |
| | **მე-7 კლასი — 120%** | | |
| 47 | კეკელიძე პრ. და სხვ. — მშობლიური ლიტერატურა | 1983—1985 | 84.0 |
| 48 | შანიძე აკ. და სხვ. — ქართული ენა | ახალი | 84.0 |
| 49 | ავალიშვილი ვ. და სხვ. — რუსული ენა | 1948—1985 | 40.0 |
| 50 | მაკარიჩევი ი. და სხვ. — ალგებრა | ახალი | 84.0 |
| 51 | ბრადისი ვ. — ოთხნიშნა მათემატიკური ცხრილები | 1955—1984 | 84.0 |
| 52 | სოლოვიოვი ა. და სხვ. — სსრკ ფიზიკური გეოგრაფია | 1981—1985 | 84.0 |
| 53 | ხოდაკოვი ი. და სხვ. — არაორგანული ქიმია | 1983—1985 | 40.0 |
| | **მე-7—მე-8 კლასები** | | |
| 54 | ნეჩკინა და სხვ. — სსრკ ისტორია | 1974—1985 | 30.0 |
| 55 | ბოტვინნიკოვი ა. და სხვ. — ხაზვა (VII—VIII კლ.) | 1982—1985 | 70.0 |
| 56 | ბუჩუა ვ., მესხია შ. — საქართველოს ისტორია (VII—X კლ.) | 1968—1985 | 70.0 |
| 57 | ჯავახიშვილი ა. — საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია | გადამუშავებული | 84.0 |
| 58 | ჯაფარიძე ნ. — ინგლისური ენა | 1984—1985 | 29.0 |
| 59 | კავკასიძე თ. და სხვ. — გერმანული ენა | 1984—1985 | 40.0 |
| 60 | ჩოჩია პ. და სხვ. — ფრანგული ენა | 1984—1985 | 15.0 |
| | **მე-8 კლასი — 100%** | | |
| 61 | თუშმალიშვილი და სხვ. — ინგლისური ენა | ახალი | 27.0 |
| 62 | კავკასიძე თ. და სხვ. — გერმანული ენა | ახალი | 35.0 |
| 63 | მეგრელიძე ზ. და სხვ. — ფრანგული ენა | ახალი | 14.0 |
| 64 | რიმკევიჩი — ფიზიკის ამოცანათა კრებული (VIII—X კლ.) | 1982—1985 | 72.0 |
| 65 | გოლდფარბი ი. — ქიმიის ამოცანათა კრებული (VIII—X კლ.) | 1982—1985 | 72.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| | **მე-9 კლასი — 100%** | | |
| 66 | ᲙᲝᲚᲘᲐᲜᲡᲙᲘ ი. და სხვ. — ზოგადი ბიოლოგია (IX—X კლ.) | 1984—1985 | 76.0 |
| 67 | ᲙᲚᲝᲞᲡᲙᲘ ვ. და სხვ.—გეომეტრია (IX—X კლ.) | 1983—1985 | 32.0 |
| 68 | ᲙᲝᲚᲛᲝᲒᲝᲠᲝᲕᲘ ა. და სხვა — ალგებრა და ანალიზის საწყისები (IX—X კლ.) | 1984—1985 | 32.0 |
| | **მე-10 კლასი — 40%** | | |
| 69 | ᲣᲚᲔᲜᲢᲘ ვ. და სხვ. — ქართული ლიტერატურა, XIX—XX სს. | 1967—1985 | 30.0 |
| 70 | ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲫᲔ პრ. სხვ. — ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, XIX—XX სს. | 1971—1985 | 30.0 |
| 71 | ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ გ. — რუსული ენის გრამატიკა | 1957—1985 | 30.0 |
| 72 | ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ გ .— რუსული ენის გრამატიკა | 1957—1985 | 30.0 |
| 73 | ᲛᲘᲐᲙᲘᲨᲔᲕᲘ გ. და სხვ. — ფიზიკა | 1984—1985 | 30.0 |
| 74 | ᲪᲕᲔᲢᲙᲝᲕᲘ ლ. და სხვ. — ორგანული ქიმია | 1984—1985 | 30.0 |
| 75 | ᲨᲐᲮᲜᲐᲖᲐᲠᲝᲕᲘ გ. და სხვ. — საზოგადოებათმცოდნეობა | 1983—1985 | 30.0 |
| 76 | ᲙᲣᲙᲣᲨᲙᲘᲜᲘ ი. ს. — სსრკ ისტორია | ახალი | 80.0 |
| 77 | ᲤᲣᲠᲐᲔᲕᲘ ვ. კ. — უახლესი ისტორია | 1983—1985 | 30.0 |
| 78 | ᲮᲐᲠᲐᲫᲔ ე. — ᲐᲡᲢᲠᲝᲜᲝᲛᲘᲐ | 1970—1985 | 30.0 |
| | **რუსული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის** | | |
| 79 | ᲒᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ბუკვარი 1-ლი კლასის | 1975—1985 | 30.0 |
| 80 | ᲒᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ — მათემატიკა 1-ლი კლასის | 1974—1985 | 30.0 |
| 81 | ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘ ა. და სხვ. — ქართული ენა (III კლასი) | IV | 10.0 |
| 82 | ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ პ. და სხვ. — ქართული ენა (VI კლ.) | III | 30.0 |
| 83 | ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔ მ. და სხვ. — ქართული ენა (VII კლ.) | III | 30.0 |
| 84 | ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ პ. ნ. — საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია (VIII კლ.) | | 30.0 |
| 85 | ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔ მ. და სხვ. — ქართული ენა (X კლ.) | IX | 10.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიების 1984 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება

## სამტრედიის სპეციალურ სკოლაში შრომითი აღზრდის, მწარმოებლური შრომისა და აღსაზრდელთა პროფესიული ორიენტაციის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე, არასრულწლოვან სამართალდამრღვევ მოზარდთა შრომითი აღზრდის, მათი საზოგადოებრივ-სასარგებლო, მწარმოებლურ შრომით საქმიანობაში ჩაბმისა და პროფესიული ორიენტაციის სწორად წარმართვის მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიებმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. განსაკუთრებულ პირობებში აღსაზრდელ ბავშვთა და მოზარდთა სამტრედიის სპეციალური რესპუბლიკური სკოლის საბაზო საწარმოდ დამტკიცდეს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატი.

2. დაევალოთ აღნიშნულ ორგანიზაციებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გააფორმონ ხელშეკრულება, ავეჯის მარტივი დეტალებისა და სახალხო მოხმარების საგნების დამზადების შესახებ.

3. სპეციალური სკოლის აღსაზრდელების მიერ დამზადებული პროდუქციის რეალიზაცია, არსებული წესების შესაბამისად დაევალოს სამტრედიის ხის დამმუშავებელ კომბინატს.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე), საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკურმა სამმართველომ (ამხ. მ. ვეკუა) შეიმუშაონ წესი აღსაზრდელთა შრომის ანაზღაურების შესახებ.

5. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველომ (ამხ. ი. ბუზიაშვილი) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მომარაგების სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) უზრუნველყონ სპეციალური სკოლის სასწავლო სახელოსნოები შესაბამისი დანადგარ-მოწყობილობებით და დგამ-ავეჯით.

6. სამტრედიის სპეციალურ რესპუბლიკურ სკოლაში მწარმოებლური შრომის დანერგვასთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკითხების მოგვარება და კოორდინაცია დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. პ. თუთბერიძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი **თ. უჩანეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ თევზდაცვის სამმართველოს კოლეგიისა და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების პრეზიდიუმის 1984 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება

## ბუნების ნორჩ დამცველთა მე-14 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-15 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობისა და საქართველოს სსრ თევზდაცვის სამმართველოს კოლეგიები, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავენ, რომ ბუნების ნორჩ დამცველთა მე-14 რესპუბლიკური შეკრება, რომელიც საკავშირო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების მე-60 წლისთავს მიეძღვნა, ჩატარდა მაღალიდეურ და ორგანიზაციულ დონეზე.

შეკრებამ ნათლად წარმოაჩინა ბუნების შესწავლისა და დაცვის საქმით დაინტერესებული მოსწავლე ახალგაზრდობის, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ნორჩ ნატურალისტთა სადგურების, ცისფერი და მწვანე საგუშაგოების, ბუნების დაცვის საზოგადოების, სასკოლო სატყეოების მიერ გატარებული მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელთა მიზანი იყო სასარგებლო მცენარეთა ჯიშების დაცვა, გამრავლება და გავრცელება, ბუნებრივი ძეგლების აღრიცხვა და შესწავლა.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-14 რესპუბლიკურ შეკრებაში მონაწილეობა მიიღო 300-მდე მოსწავლემ. შეკრებაზე წარმოდგენილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია გორის, ზუგდიდის, გურჯაანის, მცხეთის, სოხუმის, ცხაკაიას, სიღნაღის, რუსთავის, ქუთაისის, ლანჩხუთის, ახმეტის, შუახევის, ვანის, ცხინვალის, თბილისისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების მოსწავლეთა და პედაგოგიური კოლექტივების ნაყოფიერი და შემოქმედებითი საქმიანობა.

ყოველწლიურად იზრდება შეკრების მონაწილეთა ინტერესი ბუნე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში. იზრდება მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა, შემეცნებითი ინტერესი გარემოს შესწავლისადმი, რაზედაც მეტყველებენ ბუნების ნორჩ დამცველთა საზოგადოებაში, ნორჩ ფენოლოგთა, მწვანე და ცისფერ საგუშაგოებისა და სასკოლო სატყეოს სექციებში გაერთიანებულ მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი ნაშრომები, საკვლევაძიებო ხასიათის მოხსენებები, ბუნებრივი ძეგლების ფოტოსურათები, მხატვრულ-დეკორატიული ნაკეთობანი, დიაგრამები, საგამოფენო მასალები.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-14 რესპუბლიკური შეკრების სექციური სხდომები ჩატარდა ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

შეკრებაში მუშაობდნენ სასკოლო სატყეოს, მწვანე საგუშაგოს, ცისფერი საგუშაგოსა და ნორჩ ფენოლოგთა სექციები.

შემოსული ნაშრომების წინასწარი დახვეწისა და შერჩევის შემდეგ მწვანე საგუშაგოსა და სასკოლო სატყეოს სექციებზე მოხსენებით გამოვიდა 33 მოსწავლე, ხოლო, ცისფერ საგუშაგოს და ნორჩ ფენოლოგთა სექციებზე კი — 30 მოსწავლე.

სასკოლო სატყეოსა და მწვანე საგუშაგოს სექციების მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ სატყეო სამინისტროს სამთო მეტყევეობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. გ. გიგაურმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. გოგიჩაიშვილმა, ხოლო ცისფერი საგუშაგოსა და ნორჩ ფენოლოგთა სექციების მუშაობა კი შეაჯამა საქართველოს სსრ თევზდაცვის სამმართველოს უფროსმა ამხ. რ. ჩარგეიშვილმა. გარდა ამისა, სექციების მუშაობაში მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები, ბუნების ქომაგები, ხელოვნების მუშაკები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოსა და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის მუშაკები.

ბუნების ნორჩ დამცველთა მე-14 რესპუბლიკური შეკრების მაღალ დონეზე ჩატარება განაპირობა განათლების განყოფილებების, კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის, სამთო მეტყევეობის კვლევითი ინსტიტუტების, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკისა და ზოოლოგიის ინსტიტუტებისა და ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის აქტიურმა მონაწილეობამ.

ამასთანავე, შეკრების მომზადება-ჩატარებაში შეინიშნებოდა რიგი ნაკლოვანებებისა. შეკრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ: ადიგენის, ახალციხის, ხაშურის, დუშეთის, ონის, ამბროლაურის, ყაზბეგის, ახალქალაქის რაიონებს. ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის მონაწილეობა ერ-

თი სკოლით განისაზღვრებოდა. რიგი რაიონების სკოლების მიერ ჩატარებულ მუშაობას და მათ მიერ წარმოდგენილ ნაშრომებს ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ თევზდაცვის სამმართველოს კოლეგიებმა, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ბუნების ნორჩ დამცველთა რესპუბლიკურ შეკრებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდეს 5 მოსწავლე (დანართი 1).

2. ბუნების ნორჩ დამცველთა მე-14 რესპუბლიკურ შეკრებაზე საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდეს 9 მოსწავლე და 5 მასწავლებელი (დანართი 2).

3. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოვდეს 7 მოსწავლე და 7 მასწავლებელი (დანართი 3).

4. საქართველოს სსრ სამთო მეტყევეობის კვლევითი ინსტიტუტის სიგელით დაჯილდოვდეს 16 მოსწავლე (დანართი 4).

5. ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელით დაჯილდოვდეს 25 მოსწავლე, 5 მასწავლებელი და 23 საგუშაგო (დანართი 5).

6. ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება ჩატარდეს 1986 წლის ოქტომბერში ქ. თბილისში და მისი ჩატარების ორგანიზაცია დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

7. ბუნების შესწავლისა და დაცვის საქმეში მოსწავლეთა ჩაბმისა და ბუნების ნორჩ დამცველთა მე-14 რესპუბლიკური შეკრების მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდეს „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით 2 მასწავლებელი და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი (დანართი 6).

8. დამტკიცდეს ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანართი 7).

9. დამტკიცდეს ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრებისათვის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვა (დანართი 8).

10. ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები გაიღოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ (ამხ. თ. ჟღენტი).

11. დაევალოს ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეას (ამხ. ა. კუხიანიძე), თბილისის სამხატვრო სკოლას (ამხ. ა. მაჩაიძე), ეთხოვოს საქართველოს სსრ ბუნების დაცვის რესპუბლიკურ საზოგადოებას (ამხ. ო. ჯანელიძე), რათა ბუნების შესწავლითა და სახვითი ხელოვნებით დაინტერესებული მოსწავლეები, ბუნების ნორჩი დამცველები, ბუნების დაცვის რესპუბლიკურ საზოგადოებასთან არსებულ მგალობელ და დეკორატიულ ფრინველთა, კაქტუსების მოყვარულთა და აქვარიუმისტთა კლუბების წევრები ჩააბან ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკურ შეკრებაში და მოაწყონ მათი ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენა.

12. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, ქ. ქუთაისისა და ქ. გორის სახალხო განათლების განყოფილებებს, თელავისა და გორის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს:

12. 1. ადგილებზე განათლების ორგანოებთან შექმნან ბუნების ნორჩ დამცველთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საზოგადოებები;

12. 2. ფართოდ ჩააბან ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკურ შეკრებაში სკოლები, სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები, სარაიონო, საქალაქო პიონერთა და მოსწავლეთა სახლები, სასახლეები და სხვა სკოლისგარეშე დაწესებულებები;

12. 3. ჩამოაყალიბონ სასკოლო სატყეოები, მწვანე და ცისფერი საგუშაგოები, ნორჩ ფენოლოგთა სექციები რესპუბლიკის იმ საშუალო და რვაწლიან სკოლებში, სადაც ისინი არ არიან შექმნილი და უზრუნველყონ მათი მუშაობის ფართოდ გაშლა.

13. დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის განყოფილებას, მოაწესრიგოს ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკურ შეკრებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და მეთოდური საკითხები.

14. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (ამხ. ა. ალავერდაშვილი), საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს (ამხ. ო. ჯანელიძე), საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყის აღდგენისა და კეთილმოწყობის სამმართველოს (ამხ. ო. გამცემლიძე), საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს გამწვანებისა და კეთილმოწყობის გან-

ყოფილებას (ამხ. ჯ. მოწონელიძე), საქართველოს სსრ შავი ზღვის თევზის მარაგის დაცვის კვლავაღწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს იქთიოლოგიურ განყოფილებას (ამხ. ბ. ვჩერაშანსკაია).

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ჯ. მარგველიძე

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. კაჭარავა

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე ო. ბალიაშვილი

საქართველოს სსრ თევზდაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე უ. იოსელიანი

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი
ზ. სარალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდნენ:

1. ჭანია ლალი ლონგინოზის ასული — ქ. ზუგდიდის მე-7 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
2. სეხნიაშვილი ნაირა რობერტის ასული — გურჯაანის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
3. წამალაშვილი ლია რევაზის ასული — მცხეთის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
4. შანბა ასლან რევაზის ძე — ქ. სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
5. ქაჩიბაია ავთანდილ ალექსანდრეს ძე — ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოქალაქევის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

დანართი 2

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდნენ:

1. შაიშმელაშვილი გული სოლომონის ასული — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
2. მოისწრაფიშვილი კლარა სარდიონის ასული — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
3. ბერულავა ნაირა — ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოქალქევის საშუალო სკოლის მასწავლებელი
4. ამირანაშვილი შოთა გრიგოლის ძე — მცხეთის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
5. გიგუაშვილი ხათუნა ივანეს ასული — გორის რაიონის სოფელ ტყვიავის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
6. სოფრომაძე ირინე მელიტონის ასული — თერჯოლის რაიონის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის წევრი, მე-7 კლასის მოსწავლე
7. სიხარულიძე შორენა ანზორის ასული — თბილისის 135-ე რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
8. მელაძე თამარ ოთარის ასული — თიანეთის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ბუნების დაცვის წრის წევრი, მე-7 კლასის მოსწავლე

9. ნაუმოვი ოლეგ ანდრიას ძე — ქ. ცხინვალის პიონერთა სახლის წევრი

10. მაკარიძე თემურ შალვას ძე — შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურის საშუალო სკოლის სასკოლო სატყეოს წევრი

11. მინაძე მარია თემურის ასული — ადიგენის რაიონის სოფელ ვარხნის საშუალო სოლიკს მე-8 კლასის მოსწავლე

12. ჯახუა ედიშერ ნოდარის ძე — გულრიფშის რაიონის სოფელ ვარხნის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

13. მაისურაძე კობა ვალოდიას ძე — წულუკიძის რაიონის სოფელ ახალშენის რვაწლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

14. გაგუნაშვილი ლია შალვას ასული — გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

დანართი 3

## საქართველოს სსრ ბუნების დაცვის პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოვდნენ:

1. ხარშილაძე ხათუნა ილარიონის ასული — თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

2. სილაგაძე ნატო აკაკის ასული — ცაგერის რაიონის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

3. ქარსელაძე გიორგი ჭიჭიკოს ძე — ცაგერის რაიონის სოფელ თაბორის რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

4. ხენგავა ეთერ მიხეილის ასული — თბილისის 57-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

5. ქარელი ლილი იოსების ასული — გორის რაიონის სოფელ ტყვიავის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

6. მაკარაძე ალექსანდრე ვალერიანის ძე — აჭარის ასსრ შუახევის რაიონის სოფელ ოლადაურის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

7. გიორგაძე ავთანდილ სერგოს ძე — ვანის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ბიოლოგიის წრის ხელმძღვანელი

8. ყურაშვილი თინა კონსტანტინეს ასული — ცაგერის რაიონის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

9. შენგელია ელენე დავითის ასული — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

10. კახელიშვილი ეთერ არჩილის ასული — თბილისის 135-ე რვაწლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. ჯაფარიძე ალექსანდრე სამსონის ძე — თერჯოლის რაიონის ნორჩ ნატურალისტთა სადგურის დირექტორი
12. პარასკევოპულო სპირიდონ პანასტაევის ძე — ქ. სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
13. კერძევაძე ირინა ელდარის ასული — თბილისის 125-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
14. ჩახვაშვილი ხათუნა თამაზის ასული — თბილისის 144-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

**დანართი 4**

**ბუნების ნორჩ დამცველთა მე-14 რესპუბლიკურ შეკრებაში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ სამთო მეტყევეობის კვლევითი ინსტიტუტის სიგელებით დაჯილდოვდნენ:**

1. კუკავა თენგიზ ანზორის ძე — ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
2. უგრეხელიძე ქეთევან ჭიჭიკოს ასული — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
3. კუხიანიძე ნინო ზურაბის ასული — ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
4. ძიძიგური მაკა რობერტის ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
5. მანია გია ნოდარის ძე — ქ. ზუგდიდის მე-13 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
6. კუკავა ნანა აბიკოს ასული — ქ. ზუგდიდის მე-10 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
7. მარგველაშვილი მაია ზურაბის ასული — თბილისის 125-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
8. სილაგაძე ნატო აკაკის ასული — ცაგერის რაიონის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
9. მახარაშვილი თორნიკე კონსტანტინეს ძე — სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
10. ლიპარტელიანი ირინე აკაკის ასული — თბილისის 101-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
11. მუშკუდიანი ჩიტო რევაზის ასული — ცაგერის რაიონის სოფელ მახაშის რვაწლიანი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
12. ურუშაძე კახა ილიას ძე — ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
13. სილაგაძე მაია ვაჟას ასული — თბილისის 101-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

14. სიხარულიძე შორენა ანზორის ასული — თბილისის 135-ე რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

15. ჭოლოკავა მადონა ჯუმბერის ასული — თბილისის 135-ე რვაწლიანი სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

16. ქარდავა ქეთევან ვალიკოს ასული — ლენტეხის რაიონის სოფელ ხელდის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

დანართი 5

**გ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელით დაჯილდოვდნენ:**

1. ნიკორაშვილი რევაზ ვახტანგის ძე — ქ. ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

2. კალანდაძე ნანა ვახტანგის ასული — ცაგერის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

3. ტაკიძე ლალი ილიას ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

4. ხუროძე მარიკა ავთანდილის ასული — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

5. ყალიჩავა ლალი ელვარდის ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ზემო ჭალადიდის საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე

6. ანანიძე ინგა აკაკის ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ პაჭყვისთავის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

7. სიხარულიძე ლია ვახტანგის ასული — თბილისის 153-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

8. ზედელაშვილი თამარ გურამის ასული — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე

9. ნადირაძე სოფიკო ომარის ასული — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

10. ჟორჟოლიანი რუსუდან ანზორის ასული — ქუთაისის მე-6 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

11. ჭავჭანიძე დავით კონსტანტინეს ძე — ქუთაისის 33-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

12. მანია გელა ნოდარის ძე — ზუგდიდის მე-13 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

13. მორჩიაშვილი ელზა გიორგის ასული — ცხაკაიას მე-7 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

14. ვარდოსანიძე მთვარისა ხაუმის ასული — თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბნის საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
15. ელიზბარაშვილი ნანა გივის ასული — თბილისის 135-ე რვაწლიანი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
16. ალექსიშვილი ნანა დავითის ასული — საგარეჯოს მე-4 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
17. ფაჩოშვილი აკაკი უშანგის ძე — ყვარლის რაიონის სოფელ შილდის 1-ლი საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
18. სარუხანაშვილი გიორგი გიორგის ძე — თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
19. ფაჩოშვილი მაია უშანგის ასული — ყვარლის რაიონის სოფელ შილდის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
20. კანკაძე კახა თეიმურაზის ძე — ვანის რაიონის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
21. კირკიტაძე ხათუნა ბონდოს ასული — თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
22. კობახიძე ნაზი რომანის ასული — თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
23. ჯიჯიხია ხათუნა ჯემალის ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოქალაქევის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
24. ძიძიგური მაკა რუბენის ასული — ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
25. ვანის რაიონის პიონერთა სახლის ცისფერი საგუშაგო
26. რუსთავის მე-12 საშუალო სკოლის ცისფერი საგუშაგო
27. მცხეთის რაიონის 1-ლი საშუალო სკოლის ცისფერი საგუშაგო
28 ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოქალაქევის საშუალო სკოლის ცისფერი საგუშაგო
29. ცაგერის რაიონის საშუალო სკოლის სასკოლო სატყეო
30. თერჯოლის რაიონის სოფელ რუფოთის საშუალო სკოლის სასკოლო სატყეო
31. თელავის რაიონის სოფელ კისისხევის საშუალო სკოლის სასკოლო სატყეო
32. ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის საშუალო სკოლის სასკოლო სატყეო
33. ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავის საშუალო სკოლის სასკოლო სატყეო
34. ვანის რაიონის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის მწვანე საგუშაგო
35. თიანეთის რაიონის პიონერთა სახლის მწვანე საგუშაგო
36. სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის საშუალო სკოლის მწვანე საგუშაგო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

37. ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის საშუალო სკოლის მწვანე საგუშაგო

38. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლის ნორჩ ფენოლოგთა სექცია

39. ცხინვალის რაიონის პიონერთა სასახლის ნორჩ ნატურალისტთა განყოფილება

40. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლის სასკოლო სატყეო

41. ბორჯომის რაიონის სოფელ ღვირის საშუალო სკოლის მწვანე საგუშაგო

42. ფოთის მე-10 საშუალო სკოლის ცისფერი საგუშაგო

43. თბილისის 164-ე საშუალო სკოლის ნორჩ ფენოლოგთა წრე

44. თბილისის 101-ე საშუალო სკოლის მწვანე საგუშაგო

45. თბილისის 137-ე საშუალო სკოლის მწვანე საგუშაგო

46. ძიძიგური ინგა ბორისის ასული — თბილისის 164-ე საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

47. ჯვალაძე ვლადიმერ ანზორის ძე — ვანის რაიონის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

48. წყალტუბოს რაიონის სოფელ ტყაჩისის საშუალო სკოლის სასკოლო სატყეო

49. ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ტამბოვკის საშუალო სკოლის ცისფერი საგუშაგო

50. გურგენიძე ლამარა აპოლონის ასული — თიანეთის რაიონის პიონერთა სახლის მწვანე საგუშაგოს ხელმძღვანელი

51. ძოწენიძე ნათელა კონსტანტინეს ასული — თერჯოლის რაიონის სოფელ რუფოთის საშუალო სკოლის სასკოლო სატყეოს ხელმძღვანელი

52. ოდიკაძე შურა ივანეს ასული — ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურის საშუალო სკოლის ნორჩ ფენოლოგთა სექციის ხელმძღვანელი

53. გოგებაშვილი იზოლდა გიორგის ასული — ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის საშუალო სკოლის სასკოლო სატყეოს ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 6

**ბუნების შესწავლისა და დაცვის საქმეში მოსწავლეთა ჩაბმისა და ბუნების ნორჩ დამცველთა მე-14 რესპუბლიკური შეკრების მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული" დაჯილდოვდნენ:**

1. ბაიხოძე მაგდა გრიგოლის ასული — ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი
2. რომელაშვილი მარიკა ელიზბარის ასული — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის განყოფილების ბიოლოგიის კაბინეტის მასწავლებელი
3. გიგაური გიორგი ნიკოლოზის ძე — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ვ. ზ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დანართი 7

**ბუნების ნორჩ დამცველთა მე-15 რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა**

1. ყურაშვილი ბ. ვ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
2. დარჩია მ. დ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ხაჩიძე მ. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)
4. კაჭარავა ვ. ი. — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე
5. ჭალაგანიძე შ. ი. — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი
6. სალარიძე ბ. — საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ჩარგეიშვილი რ. გ. — საქართველოს სსრ თევზდაცვის სამმართველოს უფროსი
8. ზარქუა ე. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
9. ჩიქვანაია ლ. თ. — ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი
10. ჟღენტი თ. გ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)
11. გიგაური გ. ნ. — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სამთო მეტყევეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
12. შავლიაშვილი ი. ა. — საქართველოს სსრ მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი
13. ნახუცრიშვილი გ. შ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი
14. თუმანიშვილი გ. დ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი
15. ალავერდაშვილი ა. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
16. ჯანელიძე ო. შ. — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
17. შადური ა. ი. — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ნაკრძალების მთავარი სამმართველოს უფროსი
18. მუსხელიშვილი მ. დ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის განყოფილების გამგე
19. ჯიქიძე თ. გ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის განყოფილების ბიოლოგიის კაბინეტის გამგე (საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 30 ნოემბრის ბრძანება № 905

### რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში 1983—1984 სასწავლო წლის შედეგებისა და მიმდინარე სასწავლო წლის ამოცანების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში დასახულია ამოცანა აღმოვფხვრათ სერიოზული ნაკლოვანებანი საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების საქმიანობის შინაარსსა და ორგანიზაციაში, ავამაღლოთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხი, მოვაწესრიგოთ მოსწავლეთა კონტინგენტის დაგეგმვა.

